

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

შპს „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის)“ (ს/კ №243572834) დამფუძნებლის/პარტნიორის

## გადაწყვეტილება

(რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ)

### წესდება

### მუხლი 1

#### ზოგადი დებულებები

- 1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია“ (შემდგომში - „გიმნაზია“, ს/კ №243572834, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: 129/076-შპს; 18/11/2005) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს;
- 1.2. „გიმნაზია“, როგორც იურიდიული სუბიექტი რეგისტრირებულად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3. „გიმნაზიის“ სრული სახელწოდებაა:

შპს „ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია“.

- 1.4. „გიმნაზიის“ სამართლებრივი ფორმა: კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- 1.5. „გიმნაზიის“ იურიდიული მისამართი: საქართველო, ხარაგაული, რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა №4 (ს/კ №36.01.33.073);
- 1.6. „გიმნაზიის“ ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ხარაგაული, რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა №4 (ს/კ №36.01.33.073);
- 1.7. „გიმნაზიის“ ელ ფოსტა: [kananelicenter@gmail.com](mailto:kananelicenter@gmail.com);

### მუხლი 2.

#### გიმნაზიის საქმიანობის საგანი

- 2.1. „გიმნაზიის“ საქმიანობის საგანს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული საგანმანათლებლო საქმიანობა. „გიმნაზია“ უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული საგანმანათლებლო საქმიანობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, გახსნას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აირჩიოს სწავლა-აღზრდის საშუალებები და მეთოდები საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად, მოსწავლეებს მისცეს ქართული ხელოვნებისა და ხალხური რეწვის განათლება, ქრისტიანული ცნობიერებისა და ზნეობის

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

განვითარებისათვის შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პირობების შექმნა, მოსწავლეთა ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;

- 2.2. უფლებამოსილია განახორციელოს გაძლიერებული სწავლება მშობელთა მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურება და განსაკუთრებულ შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გავლა დაჩქარებული წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნების შესაბამისად;
- 2.3. გაუწიოს საგანმანათლებლო მომსახურება მოსწავლეებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 2.4. გიმნაზია საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტებით, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით და საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმების შესაბამისად;
- 2.5. გიმნაზია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კრედიტორების წინაშე (ასეთის შემთხვევაში) პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით.
- 2.6. გიმნაზია უფლებამოსილია აწარმოოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით არ არის აკრძალული.

## მუხლი 3.

### გიმნაზიის დამფუძნებლები

- 3.1. „გიმნაზიის“ დამფუძნებელი პარტნიორია სსიპ სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (იგივე საქართველოს საპატრიარქო ს/კ #204395537) (იურიდიული მისამართი – ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი #1), რომელსაც წარმოადგენს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (სამოქალაქო სახელი ირაკლი შიოლაშვილი. დაბადებული 04.12.1933 წ. პირადი #01015004723 მცხ. ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი #1).
- 3.2. დამფუძნებელი პარტნიორის წილი კაპიტალში განისაზღვრება 100%-ით.

## მუხლი 4

### გიმნაზიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- 4.1. „გიმნაზიის“ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ერთპიროვნულად და მესამე პირებთან ურთიერთობაში ახორციელებს დამფუძნებლის მიერ დანიშნული რექტორი;
- 4.2. „გიმნაზიის“ ერთპიროვნულად ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება გიმნაზიის რექტორს, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მმართველს, ეპისკოპოს მელქისედეკს (ხაჩიძე, პ/ნ №60003006928).
- 4.3. გიმნაზიის რექტორი არის უმაღლესი თანამდებობრივი პირი და ინიშნება დამფუძნებლის არსებობის ვადით.
- 4.4. გიმნაზიის რექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს და ადმინისტრაციას, დებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს გიმნაზიის თანამშრომლებთან.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

- 4.5. გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი:
- ა) აღმასრულებელი დირექტორი წარმართავს გიმნაზიის ყოველდღიურ საქმიანობას;
  - ბ) დამფუძნებელთან შეთანხმებით, რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს გიმნაზიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებსა და მიზნობრივ პროგრამებს, წლიური საქმიანობის ანგარიშს;
  - გ) იწვევს და თავმჯდომარეობს ადმინისტრაციის სხდომებს, პედაგოგთა საერთო კრებებს, პედაგოგთა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას;
  - დ) უზრუნველყოფს დამფუძნებლისა და რექტორის გადაწყვეტილებათა შესრულებას;
  - ე) რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს წესდებებს, შინაგანაწესსა და გიმნაზიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა ნორმატიული აქტებს.
  - ვ) უზრუნველყოფს გიმნაზიის საფინანსო საქმიანობის კანონიერებას;
  - ზ) რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს გიმნაზიის ბიუჯეტსა და ცალკეულ პროექტებს;
  - თ) მოითხოვს ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ;
  - ი) უზრუნველყოფს საქმისწარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - კ) ასრულებს ამ წესდებით, გიმნაზიის სხვა აქტებითა და რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
- 4.6. გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობებს ასრულებს რექტორი ან რექტორის ბრძანებით უფლებამოსილი პირი.
- 4.7. გიმნაზიას შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც საკონსულტაციო ორგანოა. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რექტორი. საბჭოს გადაწყვეტილებები გიმნაზიისთვის სარეკომენდაციო მნიშვნელობისაა.

### მუხლი 5.

#### აღმასრულებელი ორგანო

- 5.1. გიმნაზიის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი დირექტორი და ადმინისტრაცია.
- 5.2. ადმინისტრაცია არის რექტორის აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის დავალებათა და გადაწყვეტილებათა (ბრძანებების, განკარგულებების, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტებისა და რეგულაციებს) აღსრულებას.
- 5.3. ადმინისტრაციის სტრუქტურა, შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილება დგინდება შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს რექტორი. რექტორი გამოსცემს და ამტკიცებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ სამართლებრივ აქტებს, რეგულაციებს, განსაზღვრავს სტრუქტურას და იღებს გადაწყვეტილებას ყველა მის კომპეტენციაში შემავალ მიმდინარე საკითხებზე;

### მუხლი 6

#### გიმნაზიის პარტნიორის უფლებები და მოვალეობები

- 6.1. პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:
- ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;
  - ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

---

- დ) საზოგადოების მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი საზოგადოების კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად;
- ე) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს;
- ვ) შეუზღუდავად გაასხვისოს ან დატვირტოს (დააგირავოს) მის საკუთრებაში არსებული წილი საზოგადოების კაპიტალში;
- ი) პარტნიორი ვალდებულია დაიცვას წესდება და განახორციელოს ქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს გიმნაზიის საწესდებო მიზნების რეალიზებაში.

### მუხლი 7

#### გიმნაზიის დაფინანსების წყაროები

- 7.1. საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო მომსახურებიდან მიღებული სახსრები, გრანტით ან/და სხვა საქართველოს კანონით ნებადართული შემოსავლებით მიღებული სახსრები.

### მუხლი 8

#### გიმნაზიის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

- 8.1. სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დაგენილი წესით.

### მუხლი 9

#### დასკვნითი დებულებები

- 9.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის დამფუძნებელი პარტნიორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან;
- 9.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;
- 9.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებელი/ პარტნიორი

# წესდება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხარაგაულის წმიდა  
ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

---

თბილისი

2017 წელი